

ECONOMIC ASPECTS OF TRANSNATIONAL MIGRATION



NONA GELITASHVILI
 Doctor of Economics
 Professor of Tbilisi Humanitarian
 Teaching University
 E-mail: ngelitashvili@thu.edu.ge

ABSTRACT

The article introduces various forms of international migration and the term - transnational migration. The conceptual considerations understand migration as a process that is divided into three phases to simplify matters: the emergence of willingness and the decision to migrate, the search for a possible destination and the decision as to whether and which household member will ultimately migrate, as well as social integration at the destination. The micro-theoretical concept of Utility is of fundamental importance for this process. Macro and microeconomic conditions, historically grown interdependencies between states, the social context in the country of origin and destination or existing migrant networks to flow into the presentation of the complex decision-making process. A summary of selected theoretical approaches to explain transnational migration concludes the article. The phenomenon of transnationality also has a higher priority with regard to recommendations for action.

Keywords: International Migration, Transnational Migration, New Migration Economy.

ტრანსნაციონალური მიგრაციის ეკონომიკური ასპექტები

ნონა გელიტაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული
 სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
 E-mail: ngelitashvili@thu.edu.ge

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საერთაშორისო მიგრაციის სხვადასხვა ფორმები, მოცემულია ტრანსნაციონალური მიგრაციის არსი და მნიშვნელობა. კონცეპტუალური მოსაზრებების თანახმად, მიგრაცია აღიქმება როგორც პროცესი, რომელიც, სიმარტივის მიზნით, სამ ფაზად იყოფა. ესენია: მიგრაციის სურვილის გაჩენა და მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; შესაძლო დანიშნულების ადგილის ძიება; და ბოლოს – მიგრაციის განხორციელება. მესამე ეტაპი ხასიათდება დანიშნულების ადგილზე სოციალურ გარემოში ინტეგრაციით. სარგებლიანობის მიკროეკონომიკურ კონცეფციას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ამ პროცესისთვის. გადაწყვეტილების მიღების რთული პროცესის წარმოდგენაში გვეხმარება მაკრო- და მიკროეკონომიკური პირობების, ქვეყნებს შორის ისტორიულად გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულების, წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყანაში არსებული სოციალური კონტექსტის, ან მიგრანტთა არსებული ქსელების ტენდენციების შესწავლა. სტატია ასრულებს ტრანსნაციონალური მიგრაციის ასახსნელად შერჩეული თეორიული მიდგომების რეზიუმე. ტრანსნაციონალიზმის ფენომენი მაღალი პრიორიტეტულით გამოიჩინება, რაც სამოქმედო რეკომენდაციებშიც გამოიხატება.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო მიგრაცია, ტრანსნაციონალური მიგრაცია, ახალი მიგრაციული ეკონომიკა.



შესავალი

გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში, საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება, სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება მიგრაციის სახეობებიც. საერთაშორისო მიგრაციის ცნობილ ფორმებთან ერთად, რაც სხვა სახელმწიფოში მეტ-ნაკლებად დიდი ხნით გადასვლას გულისხმობს, ადგილი აქვს ასევე დროებით, ცირკულარულ მიგრაციას და ტრანსნაციონალურ მიგრაციას. იზრდება ისეთ მიგრანტთა რაოდენობა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ორ ან მეტ საზოგადოებაში ცხოვრების კენ, ტრანსნაციონალური თემისა და მრავალმხრივი კულტურული კავშირების განვითარების კენ. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსმიგრანტები ერთდროულად რამდენიმე ადგილას ცხოვრობენ და ერთზე მეტ თემში არიან ჩართულნი; ისინი ქმნიან ურთიერთდამოკიდებულებისა და საზოგადოებრივი თანაცხოვრების ახალ ფორმებს, რომლებიც, თავის მხრივ, არსებულ ეროვნულ სახელმწიფოებთან კავშირს ეფუძნებიან. მიგრანტები ტრანსმიგრანტები ხდებიან, როდესაც ისინი ავითარებენ და ინარჩუნებენ მრავალფეროვან, საზღვრების გადამლახავ ოჯახურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ, რელიგიურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს. გაეროს მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 200 მილიონი ტრანსნაციონალური მიგრანტია.

ტრანსნაციონალური მიგრაცია, როგორც საერთაშორისო მიგრაციის ახალი ფორმა

ადამიანები ყველა დროში იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს, რაც ისეთი განსხვავებული მიზეზების

გამოხდებოდა, როგორებიცაა: შიმშილი, ომები, დევნა, უკეთესი საცხოვრებელი ან სამუშაო პირობების ძიება, ასევე პროფესიული კარიერა და თავგადასავლების წყურვილი, რაც გრძელვადიანი ან მუდმივი ცვლილებების მოტივებად შეიძლება იქცნენ.

იმისდა მიხედვით, ეს არის სოციალურად თუ სივრცულად განსაზღვრული სისტემა, საუბარია სოციალურ ან სივრცულ მობილობაზე. სივრცული მობილობის თვალსაზრისით, განასხვავებენ ყოველდღიურ მობილობას, როგორცაა სამსახურში ან სასწავლებლად გადაადგილება; დროებით მობილობას, როგორცაა საცხოვრებელი ადგილის სეზონური ცვლილებები; და გრძელვადიან ან მუდმივ გადაადგილებას, რაც ჩვეულებრივ მიგრაციად მოიხსენიება [7. P.4] მიგრაციის განსაზღვრის კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ის, რომ ინდივიდი ან საოჯახო მეურნეობის რამდენიმე წევრი გადალახავს ადმინისტრაციულ, ანუ სახელმწიფო საზღვარს; ამ დროს საუბარია საერთაშორისო მიგრაციაზე, ან გარე მიგრაციაზე (ნახ. 1). დანიშნულების ქვეყანაში მიგრანტთა ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ამ ქვეყანაში არსებული ბინადრობის უფლებისა და ქვეყანაში შესვლის სპეციფიკურ პირობებზე. მაგალითად, როცა საუბარია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ სეზონურ მუშაკებზე, ვადიანი კონტრაქტის მქონე პირების ვიზიტზე, ან სტუდენტების გაცვლაზე, ამ შემთხვევებში დამახასიათებელია მინიმუმ ორი საცხოვრებელი ადგილის არსებობა: ერთი მათგანი საცხოვრებელი ადგილია, სადაც ძირითადად ოჯახის წევრები ან ნათესავები ცხოვრობენ, მეორე კი დასაქმების, ან სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება. თანამედროვე კვლე-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

ნახ. 1: საერთაშორისო მობილობისა და მიგრაციის სხვადასხვა ფორმის სქემატური გამოსახულება

მეწევრთა მობილობა	მიგრაცია / საერთაშორისო მობილობა	ტრანსნაციონალური მიგრაცია
<p>საცხოვრებელი ადგილი</p>	<p>წარმოშობის ქვეყანა</p> <p>დანიშნულების ქვეყანა</p>	<p>წარმოშობის ქვეყანა</p> <p>დანიშნულების ქვეყანა</p>

წყარო: [3] P. 5. <http://nbn-resolving.de/urn:nbn:de:0156-0754022>

ვები ასეთ შემთხვევებს საერთაშორისო მიგრაციის ახალ ფორმად, კერძოდ, ტრანსნაციონალურ მიგრაციად აკლასიფიცირებს (ნახ.1).


ინდივიდების ან საოჯახო მეურნეობების გადაწყვეტილებები საერთაშორისო მიგრაციის თაობაზე, სხვადასხვა სოციალურ პირობებთან, ინდივიდუალურ მოსაზრებებთან, მოლოდინებთან და შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. ამ სირთულის წარმოსადგენად, მიგრაცია შეიძლება აღინეროს, როგორც პროცესი, რომელიც სამ ფაზად მიმდინარეობს: პირველი ფაზა იწყება სურვილით, მივიღოთ სპეციფიკური გადაწყვეტილება, თუ რომელ ქვეყანაში გადავიდეთ საცხოვრებლად. მეორე ეტაპი მოიცავს შესაძლო დანიშნულების ადგილის ძიებას, აგრეთვე გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ საბოლოოდ სად გვსურს მიგრაცია, და ბოლოს – მიგრაციის განხორციელება. მესამე ეტაპი ხასიათდება დანიშნულების ადგილზე სოციალურ გარემოში ინტეგრაციით. მიგრაციის სურვილის ფორმირება ხდება სანაყის საზოგადოებაში, რომლის კონტექსტშიც ყალიბდება პოტენციური მიგრანტების ქცევა და დამოკიდებულება. [5.P.28] ეს ჩარჩო პირობები გავლენას ახდენს ადამიანებისა და საოჯ-

ახო მეურნეობების მიერ არსებული რესურსების გამოყენებისა და ცხოვრებისეული მიზნების მიღწევის შანსებზე, რაც დამოკიდებულია მათ პირად აქტივებზე, როგორცაა მინის საკუთრება, შემოსავალი, განათლების დონე, ან ეკოლოგიური მდგომარეობა.

მიგრაციას დიდი გავლენა აქვს როგორც ინდივიდებზე, ასევე მონაწილე ქვეყნებზე. სათანადო პოლიტიკის გავლენით, მიგრაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულების ქვეყნებში, ხოლო მიგრანტებისა და მათი ოჯახებისთვის სარგებლიანობის მომტანი შეიძლება იყოს. ნახ.2-ზე მოცემული მაჩვენებლები აჯამებს საერთაშორისო მიგრაციის 2019 წლის ანგარიშის ძირითად დასკვნებს; საერთაშორისო მიგრანტთა ნაკადების უახლეს შეფასებებზე დაყრდნობით, აანალიზებს საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციებს გლობალურ და რეგიონალურ დონეზე, იკვლევს მიგრაციის წვლილს დემოგრაფიულ ცვლილებებში.

1990-დან 2019 წლამდე პერიოდში, საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა 119 მილიონით გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში, უფრო მაღალგანვითარებულ რეგიონებში შემავალმა ქვეყნებმა მიიღეს

ნახ.2. საერთაშორისო მიგრანტთა ნაკადები, 2019



წყარო: [10] https://www.un.org/en/development/desa/population/migration/publications/migration-report/docs/MigrationReport2019_Highlights.pdf



ცხრილი 1. საერთაშორისო მიგრანტების რიცხვი და წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებით, განვითარების, შემოსავლებისა და რეგიონების მიხედვით, 1990-2019 წწ.

	საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა (მლნ)				საერთაშორისო მიგრანტების წილი მთლიან მოსახლეობაში (%)	
	1990	2000	2010	2019	1990	2019
მსოფლიო	153.0	173.6	220.8	271.6	2.9	3.5
მაღალგანვითარებული რეგიონები	82.8	104.0	130.6	152.1	7.2	12.0
დაბალგანვითარებული რეგიონები	70.2	69.6	90.2	119.6	1.7	1.9
მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები	77.8	103.0	144.3	175.8	7.5	14.0
საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნები	65.0	61.0	65.9	82.1	1.7	1.4
დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები	9.8	9.0	10.0	13.1	2.8	1.7
სუბსაჰარული აფრიკა	13.3	13.2	15.9	23.6	2.7	2.2
ჩრდილოეთ აფრიკა და დასავლეთ აზია	17.6	20.3	32.6	48.6	6.1	9.4
ცენტრალური და სამხრეთ აზია	26.2	20.5	19.6	19.6	2.1	1.0
აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	6.8	10.5	15.7	18.3	0.4	0.8
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	7.2	6.6	8.3	11.7	1.6	1.8
ოკეანეთი	4.7	5.4	7.1	8.9	17.3	21.2
ევროპა	49.6	56.9	70.7	82.3	6.9	11.0
ჩრდილოეთ ამერიკა	27.6	40.4	51.0	58.6	9.9	16.0

წყარო: [11]United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. 2019.

69 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი, ხოლო დაბალგანვითარებულ რეგიონებში შემავალ ქვეყნებში მიგრანტთა რიცხვი 50 მილიონით გაიზარდა. 2019 წელს საერთაშორისო მიგრანტთა თითქმის 56 პროცენტი უფრო განვითარებულ რეგიონებში ცხოვრობდა, ხოლო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში 44 პროცენტი იმყოფებოდა. საერთაშორისო მიგრანტებს შეადგენდა მსოფლიოს მთლიანი მოსახლეობის შედარებით მცირე წილი, 2019 წელს 3,5 პროცენტი. ეს წილი გაიზარდა 2,9 პროცენტიდან 1990 წელს. 2019 წელს მაღალგანვითარებულ რე-

გიონებში საერთაშორისო მიგრანტებმა შეადგინეს მთლიანი მოსახლეობის 12,0 პროცენტი, დაბალგანვითარებულ რეგიონებში კი - მთლიანი მოსახლეობის 1.9 პროცენტი (იხ. ცხრილი 1).

**ახალი მიგრაციული ეკონომიკა,
ტრანსნაციონალიზმის თეორია და
ტრანსნაციონალური მოქილშობის
ეკონომიკური შეფასება**

ტრანსნაციონალიზმის თეორია აღწერს ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ

კავშირ-ურთიერთობებს, რომლებიც ეროვნულ საზღვრებს მიღმა მყარდება. მიგრაციის თანამედროვე მკვლევარები აღწერენ ეგრეთ წოდებულ ტრანსნაციონალიზაციას „ქვემოდან“, რაც გულისხმობს სოციალურ ქსელებს, რომლებიც გლობალურად, მთელს მსოფლიოში კი არ ფუნქციონირებს, არამედ მოიცავს ეროვნულ საზღვრებს გარეთ არსებულ ლოკალურ ადგილებსა და სივრცეებს.

ახალი მიგრაციული ეკონომიკა მიიჩნევს, რომ მიგრაციის შესახებ გადანყვეტილება მიიღება უფრო მსხვილ ერთეულებში, როგორცაა ოჯახი, ან საოჯახო მეურნეობა. მიგრაციის შესახებ მიღებული გადანყვეტილება არის კოლექტიური აქტის შედეგი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია არა სარგებლიანობის ინდივიდუალურ მაქსიმიზაციაზე, არამედ ოჯახის კოლექტიურ სარგებლიანობაზე. [4. P. 22] ოპტიმიზაცია მიმართულია არა მხოლოდ მოსალოდნელი შემოსავლის, არამედ გადანყვეტილების მიღების ისეთი კრიტერიუმების გაზომვისკენ, როგორებიცაა, მაგ. შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია, დასაქმების გარანტია, სამუშაო უსაფრთხოება, წინსვლის შესაძლებლობები, საგარეო რისკების შემცირება, მიგრაციული პოლიტიკა და სამიზნე ქვეყნების სოციალური სისტემები, აგრეთვე იქ არსებული პოლიტიკური სისტემები. მიგრაციისთვის ერთი ან მეტი ოჯახის წევრის შერჩევის პროცესის შედეგი შეიცავს სტრატეგიულ კომპონენტს, რადგან მოსალოდნელია, რომ ეს გადანყვეტილება მაქსიმალურ ზეგავლენას მოახდენს მთელ საოჯახო მეურნეობაზე. ამ კოლექტიურ გადანყვეტილებას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ინდივიდუალური შედეგები საოჯახო მეურნეობის დაინტერესებული პირებისთვის. [3. P. 28-53.]

ეკონომიკური თვალსაზრისით, ტრანსნაციონალიზმის კონცეფცია შეიძლება განვიხილოთ შემდეგ სამ დონეზე: კერძოდ, მეზო, მიკრო და მაკრო დონეებზე. ტრანსნაციონალიზმის მიკრო დონე მოიცავს, მაგალითად, მიგრანტ ოჯახებსა და მათი ურთიერთობების ქსელს, რომლებიც თანხის რეგულარულად გადარიცხვის, ან ხშირი სატელეფონო თუ სხვა სახის კონტაქტების ფორმას იღებს, და ასევე გამოხატულია ცირკულარული ადგილობრივი მოძრაობებით - მაგალითად, ტრანსსასაზღვრო ოჯახური ვიზიტებით. მეზო დონეზე, ტრანსნაციონალური ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს, უპირველეს ყოვლისა, კომერციული და არაკომერციული სფეროების, ასევე საერთაშორისო კორპორაციების სახით. მიგრაციის

მკვლევარი - ლ. პრისი ასევე ასახელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, როგორც პოლიტიკური კომპეტენციის მოქმედ პოზიტიურ მაგალითს ეროვნული კომპეტენციების მიღმა. იგი აღწერს ტრანსნაციონალური ქსელის ამ დონეს, როგორც მაკრო დონეს. [7]

ტერმინ „ტრანსნაციონალიზმის“ გაჩენას მიაკუთვნებენ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისს, ის უკავშირდება კულტურული ანთროპოლოგების - ნინა გლიკ შილერის, ლინდა ბაშის, კრისტინა ზანტონ ბლანკის სახელებს. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ტერმინი „ტრანსნაციონალიზმი“ უფრო ადრე გამოიყენებოდა; კერძოდ, 1920-იან წლებში, ზოგიერთმა ეკონომისტმა გამოიყენა კონცეფცია „ტრანსნაციონალური ეკონომიკა“, როგორც საერთაშორისო ეკონომიკის სინონიმი, ხოლო 1970-იან წლებში ტრანსნაციონალური ურთიერთობების იდეამ ფართო გავრცელება ჰპოვა ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების ზრდის გამო. თუმცა, გლიკ შილერის კონცეფცია არსებითად არ ასოცირდებოდა ამ ტერმინის ადრეულ გამოყენებასთან. ავტორებმა განაცხადეს, რომ მიგრაციის ინტერპრეტაციის ახალი კონცეპტუალური მოდელი გაჩნდა. მათი მიდგომის სიახლე განისაზღვრა, ერთი მხრივ, მე-20 საუკუნის ბოლოს, მიგრაციული პროცესების განსხვავებული ტენდენციების ახსნის მცდელობით; ხოლო მეორე მხრივ, არსებული თეორიების კრიტიკით, რაც განპირობებული იყო ეროვნული სახელმწიფოების, როგორც ანალიზის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის, არსებობით.

ტრანსნაციონალური მიგრაციის კონცეფციის ფარგლებში, ინდივიდების მობილობა განიხილება, როგორც გლობალური სოციალური ტრანსფორმაციის ნაწილი, რომელიც გამოწვეულია ტრანსნაციონალური მიგრაციული ქსელების, ტრანსნაციონალური საზოგადოებებისა და ახალი იდენტურობის წარმოქმნითა და განვითარებით. ტრანსნაციონალური მიგრაციის კონცეფციამ და ტრანსნაციონალიზაციის შესწავლისადმი მიდგომებმა განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა 1990-იან წლებში, თავდაპირველად შეერთებული შტატების კონტექსტში და შემდგომში, გარკვეული შეფერხებით, ევროპაშიც. [8]

ტრანსნაციონალიზმისა და ტრანსნაციონალიზაციის ცნებები სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციით გამოიყენება სხვადასხვა დისციპლინებში. საერთაშორისო მიგრაციული მოვლენების ანალიზის სფეროში, აღსანიშნავია ტრან-



სნაციონალიზაციის კვლევის მრავალფეროვანი და ინოვაციური მიდგომები, რომლებიც ძირითადად ყოველდღიური ტრანსსასაზღვრო სოციალური პრაქტიკის ანალიზს ეფუძნება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, აღნიშნული საკითხის გარშემო გამოქვეყნდა უამრავი სტატია, მრავალტომეული თუ თემატური სამეცნიერო ჟურნალი, ჩატარდა მრავალი კონფერენცია და შეიქმნა კვლევითი ჯგუფები.

ტრანსნაციონალური მიგრაციის ფენომენი ძველია, თუმცა კვლევები ცხადყოფს, რომ რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს საერთაშორისო მიგრაციის ახალ ტიპს. ტერმინები „ტრანსნაციონალური მიგრაცია“, „ტრანსნაციონალური მიგრანტები“ ან „ტრანსნაციონალიზმი“ იმ დაკვირვების შედეგია, რომლის თანახმადაც მიგრანტები არ არიან მაინც და მაინც თანმიმდევრულნი თავიანთ ქმედებებში, ისინი სხვებისგან განსხვავებულად ახდენენ ფოკუსირებას თავიანთ ცხოვრებაზე, ეკონომიკურ საქმიანობაზე, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე. ამ ტიპის მიგრაცია გულისხმობს ჩართულობისა და ემოციური იდენტიფიკაციის გადატანას მიგრანტის წარმოშობის ქვეყნიდან მის ახალ საცხოვრებელ ქვეყანაზე. უფრო მეტიც, ტრანსმიგრანტები გადაადგილდებიან სხვადასხვა სამყაროს შორის, სადაც ისინი ქმნიან ახალ ჯგუფებს ტრანსნაციონალურ თემებში, ქსელებსა და დიასპორებში, რომელთაც არ შესწევთ უნარი, ცალსახად დააკავშირონ პიროვნება არც წარმოშობის და არც დანიშნულების ქვეყანასთან, არამედ განუვითარებს კუთვნილების რთულ გრძობებს, სხვადასხვა მიმართულებით. წარმოიქმნება ეგრეთ წოდებული ტრანსნაციონალური სოციალური სივრცეები, რომლებიც არსებობს ტერიტორიული საზღვრების, ან მოქალაქეობის მიღმა. ტერმინები „ტრანსნაციონალიზმი“ და „ტრანსნაციონალური მიგრაცია“ ეხება, ერთი მხრივ, რეალურ საზოგადოებაში არსებულ თვალსაჩინო მოვლენებს და, მეორე მხრივ, ინტეგრაციის კვლევაში ახალი თეორიული მიდგომის შემუშავებას. [6. P. 52].

აღსანიშნავია, რომ ტრანსნაციონალური საქმიანობა ემპირიულად შეიძლება შეფასდეს. ეკონომიკური გაცვლითი ურთიერთობები, ერთობლივი კომპანიების, ასოციაციებისა და ორგანიზაციების დაფუძნება, ტურისტული სააგენტოების შექმნა, - ეს ყოველივე მიზნად ისახავს ძველ და ახალ სამშობლოს შორის კავშირის დამყარებას. მაგალითისთვის, შეიძლება განვიხილოთ მიგრანტების საჭიროებებზე მორგებული იმპორტ-ექსპორტის

ბიზნესი, თუმცა, ხშირად ისინი ეთნიკურ ნიშანს ტოვებენ და ეკონომიკურ მეინსტრიმში გადადიან; უმეტეს შემთხვევაში, ამგვარი კომპანიები „ორ სამყაროდ“ გახლენილ, ეკონომიკურად და გონებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ ოჯახებზე დაფუძნებით იქმნებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური და ტრანსნაციონალური საზოგადოებებისა და ორგანიზაციების, ასევე დიასპორული თემების არსებობა, საემიგრაციო ქვეყნის თვალსაზრისით, დიდი ხნის მანძილზე კრიტიკულად განიხილებოდა და ხელს უშლიდა ემიგრანტების ინტეგრაციას, ამგვარი კავშირები თანდათან უფრო მეტ აღიარებას ჰპოვებს. ასე მაგალითად, განვითარების პოლიტიკის პერსპექტივიდან გამომდინარე, უკვე ხშირია დისკუსია საკითხზე, თუ რამდენად შეიძლება ტრანსნაციონალური დიასპორის თემებმა დადებითი გავლენა მოახდინონ თავიანთ ქვეყანაში ეკონომიკურ ან / და პოლიტიკურ განვითარებაზე [6. P. 53]. განვითარების პოტენციალი, ისევე როგორც შესაძლო პრობლემური სფეროები, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ სიტუაციაზე ემიგრანტის მშობლიურ ქვეყანაში. ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგალითად, თურქების, პალესტინელების, იაპონელების, ინდოელების ან ერაყელთა ტრანსნაციონალური თემების პრობლემები. მართალია, მათ მეტ-ნაკლებად საერთო მახასიათებლებიც გააჩნიათ, მაგალითად ის, რომ მათ წევრებს უნდა ჰქონდეთ ტოლერანტობა სოციალური და სივრცული ორპროვინციის მიმართ. [7. P. 19] ასე რომ, ტრანსმიგრანტებს უნდა ჰქონდეთ ემოციური მზადყოფნა საიმისოდ, რომ შეძლონ ინდივიდუალურად სხვადასხვა კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებითი სისტემების შედეგად წარმოქმნილი პრობლემებისადმი წინააღმდეგობის განწევს უნარი. თუმცა, დომინირებს ასევე მკვლევართა ნაწილის აზრი, რომლებიც თვლიან, რომ მრავალფეროვანი ინტეგრაციის ეს ფორმა სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში თითქმის შეუძლებელია. [2]

ტრანსნაციონალური მიგრაციული პროცესები საჭიროებს გარკვეული სოციალური სტრუქტურების შექმნას, როგორცაა ეთნიკური ქსელები, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ტრანსნაციონალიზმის შესაძლებლობებზე. ერთ-ერთ კვლევაში გამოვლენილია ტრანსნაციონალური მიგრაციის ხუთი სტრუქტურული და ინსტიტუციური წინაპირობა [9. P. 65-71]:

1. გლობალიზაცია;

2. ტრანსნაციონალური ოჯახების არსებობა;
3. წარმოშობის ქვეყნების პოლიტიკა;
4. მასპინძელ ქვეყანაში დისკრიმინაცია და მარგინალიზაცია ;
5. ტექნიკური ინოვაციები სატრანსპორტო და კომუნიკაციების სფეროში.

ეკონომიკური გლობალიზაცია ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო განაწილებას და მიგრაციის ნახალისებას, რაც ძირითადად ანაზღაურების სისტემაში, შრომაზე მოთხოვნასა და სამუშაო პირობების განსხვავებების ხარჯზე ხდება. ასევე არსებობს მარქსიზმზე ორიენტირებული შეხედულება, რომლის თანახმადაც ცენტრები და პერიფერიები გლობალური კაპიტალიზმის შედეგად იქმნება, ხოლო მიგრაციული ნაკადები სწორედ ღარიბი პერიფერიებიდან მდიდარი ცენტრებისკენ მიემართება.

ტრანსნაციონალური ოჯახები, გარკვეული გაგებით, საბაზისო სოციალური სტრუქტურას წარმოადგენენ, რომლის ფარგლებშიც ხდება ტრანსნაციონალური მიგრაცია. [1. P. 40] ხშირად მიგრაციის შესახებ გადანყვეტილებას იღებენ არა ინდივიდუალური პირები, არამედ ოჯახის წევრები. მშობლიურ ქვეყანაში დარჩენილი ოჯახის წევრები უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა ხარისხით, დამოკიდებულნი არიან ფულად გზავნილებზე. სამომავლო კონტაქტები და ოჯახებთან ურთიერთობები შენარჩუნებულია, რაც ტექნიკური ინოვაციებისა და იაფი ციფრული კომუნიკაციების წყალობით გაცილებით გაიოლებულია. წარმოშობის ქვეყნებს, ფულადი გზავნილების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასევე შეუძლიათ ინტერესი ჰქონდეთ თავიანთ ემიგრანტ მოქალაქეებთან კავშირის შენარჩუნებაში, რათა მათ ხელი შეუწყონ მნიშვნელოვანი გადარიცხვების განხორციელებას. აღნიშნული ფულადი გზავნილის ლოგიკის შესაბამისად, თურქეთი დიდი ხნის განმავლობაში არ იყო დაინტერესებული თურქების ასიმილაციით გერმანიაში. გარდა ამისა, სამომავლო ქვეყნების ეთნიკური ორგანიზაციები ასევე საინტერესო კვანძებია ტრანსნაციონალური ბიზნესის წამოწყებისთვის. მაგალითად, თურქული კომპანიები, ბიზნეს ასოციაციები და თურქეთის

მთავრობა იყენებენ ეთნიკურ ინსტიტუტებს, ორგანიზაციებსა და წარმომადგენლებს საიმეგრაციო ქვეყნებში, როგორც კონტაქტის, შუამავლობის, მოლაპარაკებისა და ბიზნესის პარტნიორებად. არცთუ იშვიათად ხდება ამგვარი მუდმივი ტრანსნაციონალური საქმიანი ურთიერთობების დამყარება წარმოშობის ქვეყნებსა და მიგრანტი მუშაკების მასპინძელ ქვეყნებს შორის. [9. P.69]

დასკვნა

ბოლოდროინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კონცეფციების თანახმად, ტრანსნაციონალიზმი დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს. თუმცადა, ასეთი მოსაზრებები ეწინააღმდეგება ეროვნულ სახელმწიფოთა ფართოდ გავრცელებულ ინტერესს სახელმწიფოს მიმართ მიკუთვნებისა და ლოიალურობის განმტკიცების საკითხში. მაგრამ, მეორეს მხრივ, მუდმივი დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე, განათლების სისტემაში ან ყოველდღიურ ცხოვრებაში მიგრანტებს ურთულეს მასპინძელ ქვეყანასთან იდენტიფიცირებას და ინტეგრირებას. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ხდება ტრანსნაციონალური კავშირების შენარჩუნება.

ამავე დროს, ტრანსნაციონალური მიდგომა დღეს უკვე კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს. მკვლევართა ნაწილი მიუთითებს იმაზე, რომ ვერც ტრანსნაციონალიზმმა და ვერც ასიმილაციამ ვერ მიაღწიეს წარმატებას იმ კონფლიქტების გადაჭრის საკითხში, რომლებიც წარმოიქმნება ინდივიდების მიერ ეროვნული საზღვრების გადაკვეთისას. ჯვარედინა სასაზღვრო პერსპექტივა აღძრავს არა თანხმობას, არამედ შეუთავსებლობას ასიმილაციისა და ტრანსნაციონალიზმის თეორიებს შორის, რაც საერთაშორისო მიგრაციის ორი სხვადასხვა ფორმის შედეგებს კიდევ უფრო ამძაფრებს. [1. P. 3–17] მიუხედავად ამგვარი მოსაზრებებისა, თანამედროვე სამყაროში სულ უფრო მზარდია ტრანსნაციონალური მიგრაციის ტენდენციები, ამიტომ დღის წესრიგიდან არ იხსნება საზღვრების გადაკვეთასთან და ახალ გარემოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების ემპირიული კვლევის აუცილებლობა.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Butterwegge, Ch., Hentges, G. (Hrsg.). Zuwanderung im Zeichen der Globalisierung Migrations-, Integrations- und Minderheitenpolitik. VS Verlag für Sozialwissenschaften | GWV Fachverlage GmbH, Wiesbaden 2009.
2. Esser, H. Integration und ethnische Schichtung. Arbeitspapier Nr. 40, Mannheimer Zentrum für Europäische Sozialforschung. 2001. <http://www.mzes.uni-mannheim.de/publications/>
3. Gans, P.; Glorius, B. Internationale Migration: Forschungsansätze und -perspektiven, In: Gans, Paul (Ed.): Räumliche Auswirkungen der internationalen Migration, ISBN 978-3-88838-075-4, Verlag der ARL - Akademie für Raumforschung und Landesplanung, Hannover, 2014. <http://nbn-resolving.de/urn:nbn:de:0156-0754022>
4. Gans, P.; Glorius, B. Book Part. Internationale Migration: Forschungsansätze und Perspektiven. Provided in Cooperation with: ARL – Akademie für Raumentwicklung in der Leibniz-Gemeinschaft. Forschungsberichte der ARL 3. Hannover 2014.
5. Hoerder, D.; Lucassen, J.; Lucassen, L. Terminologien und Konzepte in der Migrationsforschung. In: Bade, J. K.; Emmer, P. C.; Lucassen, L.; Oltmer, J. (Hrsg.): Enzyklopädie – Migration in Europa. Paderborn. 2007
6. Hoesch, K. Migration und Integration. Eine Einführung. Springer Fachmedien Wiesbaden GmbH 2018.
7. Pries, L. Die Transnationalisierung der sozialen Welt. Sozialräume jenseits von Nationalstaaten. Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag. 2008
8. Schroeder J. Transnationale Perspektiven auf Migration, Arbeit und Bildung. Hamburg. 2009. https://www.ew.uni-hamburg.de/ueber-die-fakultaet/personen/schroeder-j/files/transnationale_perspektiven_korrekturen1.pdf
9. Schulte, Axel, und Andreas Treichler. Integration und Antidiskriminierung. Eine interdisziplinäre Einführung, Weinheim und München: Juventa Verlag. 2010.
10. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (2019). International Migration 2019: Highlights (ST/ESA/SER.A/439). https://www.un.org/en/development/desa/population/migration/publications/migrationreport/docs/MigrationReport2019_Highlights.pdf
11. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (United Nations, 2019). https://www.ew.uni-hamburg.de/ueber-die-fakultaet/personen/schroeder-j/files/transnationale_perspektiven_korrekturen1.pdf